№ 148 ივლისი 10, ხუთშაბათი 1886 ივლისი 10 ხუთშაბათი, № 148

გაზეთი ღირს:

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის სავაზეთოს, ცენტრალურს დ გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

ტფილისი, 9 ივლისი

გუშინდელმა დეპეშამ, დღეს დაბეჭდილმა ჩვენს „ივერიაში“, მოგვიტანა ამბავი, რომ გლადსტონის სამინისტროს გადუწყვეტია დაუყოვნებლივ გამოვიდეს სამსახურიდამ. ამ სახით ინგლისის ერის მიერ დაწუნებული პოლიტიკა გლადსტონისა, საგარეო თუ საშინაო, ჯერ ხანად უკან მიდგება და მის მაგიერ სარბიელზედ გამოვა პოლიტიკა სალუსბერისა. ამ ცვლილებას დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველ გვარ საქმისათვის ევროპაში. ეჭვი არ არის, რომ გლადსტონის სამინისტროს მაგიერ სალუსბერის სამინისტრო შედგება. ვისაც თვალი უდევნებია ინგლისის ახლისა, თუ ძველის ისტორიისათვის, იმან კარგად უნდა იცოდეს, — რაში მდგომარეობს პოლიტიკა იმ დასისა, რომელიც დღეს გამარჯვებულია ინგლისში და რომლის მეთაურადაც ბიკონსფილდის სიკვდილის შემდეგ სალუსბერი ითვლება. შინაურ საქმეებში ეგ პოლიტიკა იმის ცდაშია, რომ რამოდენადაც შესაძლოა შეიმაგროს იგი წყობილება, რაც არსებობს დღეს და, თუ ძალიან, მეტის-მეტად არ გამწვავდა საქმე, არავითარი ცვლილება არ მოახდინოს, საგარეო საქმეებში კი თავგამოდებული პოლიტიკა იქონიოს და არამც და არამც არავის ნება არ მისცეს ცოტად თუ ბევრად დააჩაგვრინოს ინგლისის თავ-მოყვარეობა, პატივი, სახელი და ინტერესები ევროპაში, თუ სხვა ქვეყნებში.

როგორ მოუვლის და უპატრონებს შინაურს საქმეებს სალუსბერის სამინისტრო მაშინ, როდესაც ირლანდიის საქმე ფეხზე წამოყენებულია და ასე თუ ისე პასუხს მოითხოვს უეჭველად და დაუყოვნებლივ? თქმა არ უნდა, რომ სალუსბერის მოუნდება უწინარეს და უპირველეს ყოვლისა ამ ირლანდიის საქმეს დასდოს რაიმე წამალი. თუ სალუსბერი იმას აჰყვა, რაც არჩევანების დროს მან წარმოსთქვა ამ საქმის შესახებ, ცხადია, რომ იგი ირლანდიას არასფერს არ დაუთმობს და ძალდასატანებელს კანონებს შეიტანს ირლანდიაში თვით-მართველობის მაგიერ. იქნება ისე სასტიკად არ მოეპყრას, როგორც იგი ჰპირდებოდა ინგლისის ერსა არჩევანების დროს, მაგრამ ესეც კი თითქმის უეჭველია, რომ ირლანდიის სურვილს კარგა ბლომად შეაკვეცავს ფრთებსა და ირლანდიას გუნებას წაუხდენს. ამას, რასაკვირველია, არეულობა მოჰყვება და, ვინ იცის, იქნება ინგლისს იარაღით ხელში მოუხდეს ირლანდიის დამორჩილება. თუ საქმე აქამდე მივიდა, სალუსბერის, არა გვგონია, დრო და მოცალეობა მიეცეს, საგარეო საქმეებს ისე თავ გამოდებულად-და თვალი ადევნოს, როგორც მისის დასის წინანდელი და დღევანდელი დედააზრი ითხოვს. დღეს ინგლისის ახალს სამინისტროს რომ ეს ირლანდიის დიდი სატკივარი მოსარჩენად წინ არ ედოს, ევროპის პოლიტიკაში დიდი ცვლილება მოხდებოდა. გლადსტონის სამინისტროს დროს ევროპის სახელმწიფოთა შორის ბევრი ისეთი ახალი მოძრაობა და ამბავი მოხდა, რომ სალუსბერი ხელ-მოსაკიდებელ მიზეზს ბევრს იპოვის საქმეში ჩარევისათვის და საქმის არევისათვის. თუ როგორმე ირლანდიის გაძღოლა მოახერხა და მოიცალა, მაინც არასფერს არ მოერიდება და კიდევ თავისასა იქმს. სალუსბერი არამც თუ თავგამოდებული პოლიტიკოსია, ძალიან ასტატებული და მოხერხებულიც არის. ამაში იგი გლადსტონს გაცილებით სჯობია. ერთობ ცნობილია, რომ კონსერვატორების, ანუ უკეთ ვსთქვათ, ტორიების საგარეო პოლიტიკა უფრო მედგარია, შეუპოვარი და ფხიანი. ტორიების მოთავე ხომ თვითონ სალუსბერია და მაშასადამე იგი უნდა ამ პოლიტიკას დაადგეს, თუ თავისის დასის ღალატი არ უნდა. ღალატს, რასაკვირველია, არ იკადრებს და საგარეო პოლიტიკაში ხელს გამოიღებს, იმოდენად რიხიანად და ფხიანად, რამოდენადაც შინაური საქმე ირლანდიისა დროსა და მოცალეობას მისცემს. ოსმალოს, ბოლგარიას, გერმანიას სალუსბერის გამთავარმინისტრება ძალიან იამება, იქნება ავსტრიასაც იამოს, მაგრამ იმოდენად კი, რამოდენად სალუსბერი აღმოსავლეთის საქმეში ჩაერევა; სხვა კი, რაც გერმანიის გაძლიერებას ხელს შეუწყობს, არ გვგონია ავსტრიამ დიდის სიამოვნებით მიიღოს.

ახალი ამბავი

⁂ ამ წლის დასაწყისში ტფილისის „კრუჟოკის“ მართველობასგანუზრახავს, რომ „კრუჟოკის“ ახალი სადგომი ელექტრონით გაენათებინა, ხოლო როდესაც გამოიანგარიშეს დარწმუნდა, რომ «კრუჟოკს» ღონე არა აქვს ამის ხარჯს გაუძლევს. ეხლა ქალაქის გამგეობასაც განუზრახავს ზოგიერთის ქუჩების ელექტრონით განათება და „კრუჟოკსა“ სთხოვს, რომ საერთო ღონით მოვახერხოთ ეს საქმეო.

⁂ ამ ჟამად გულ-მოდგინედ შეუდგნენ კუკიის ალექსანდრე ნეველის ეკკლესიის შენობის გადიდებას. ამისათვის საჭირო ხარჯს იხდიან იმ ფულიდამ, რომელიც აქამდე გროვდებოდა და ეხლაც გროვდება. რადგან ეს მოგროვილი ფული ხარჯს ვერ აუვიდოდა ამ ეკკლესიის მზრუნველთ ყოვლად უსამღვდელოესის საქართველოს ეგზარხოსის მეოხებით სთხოვეს მის ბრწყინვალებას მთავარმართებელს, რომ მიეცეთ 4,000 მანათი ეკკლესიის გადიდების სახარჯოდ. ეკკლესია სამის მხრივ უნდათ გაადიდონ. თხოვნაზე ჯერობით არავითარი პასუხი არ გამოსულიათ. ამ ეკკლესიასთან განზრახვა აქვთ აგრეთვე სამრევლო სკოლაც დაარსონ.

⁂ ლორთქიფანიძეს, „ტრამვაის“ პატრონს, განუზრახავს იქვე, მუშტაიდის ბაღის გასავალთან ააშენოს საზაფხულო თეატრი, რომელშიაც რუსულს წარმოდგენებს გამართავს ხოლმეო. ამ საქმისთვის დიდი ფული აქვს გადადებულიო. ჩვენ ვურჩევდით, რომ ხშირად ქართული წარმოდგენებიც გაემართა მით უფრო, რომ არც ზარალი ექმნებოდა, რადგანაც მუშტაიდის ბაღი ყოველ დღე სავსეა ქართველობით—მდაბიოთ, თუ არისტოკრატობით, და ყოველი ქართველი სიამოვნებით გადაიხდის რამდენსამე აბაზს ქართულის წარმოდგენის ნახვისათვის.

⁂ ყურადღება უნდა მიექცეს ჩვენის ბაყლების საქციელს. ისეთს ხილსა ჰყიდიან, რომ მისი ჭამა და ავად გახდომა ერთია. ამ გვარს ხილს ძალიან ეტანება მდაბიო ხალხი სიაფისა გამო. თუმცა ყოველ დღე მოდის ამბავი, რომ ქალაქის ექიმმა მრევლოვმა ამა-და-ამ ალაგას ამდენი ფუთი გამოუსადეგარი, დამპალი ხილი გადააყრევინაო, მაგრამ რას აუვა ერთი ექიმი ამოდენა ქალაქს. კარგი იქმნებოდა, რომ ბ-ნის მრევლოვის გარდა ქალაქის გამგეობას ერთი

ფელეტონი

იყო და არა იყო რა!

ვ. გარშინისა

თიბათვის ერთს მშვენიერს დღეს,— მშვენიერს იმიტომ, რომ ცხრა თვალი მზე კაშკაშებდა და ისე სწვავდა, რომ კვერცხი შეიწოდა,—თიბათვის, ვამბობ, ერთს მშვენიერს დღეს ყველგან ცხელოდა და უმეტესად ბაღის პატარა ოლეზე, სადაც მთელი ბულული ახლად მოთიბულის თივისა იდგა. იმიტომ უფრო ცხელოდა ამ ადგილას, რომ ალუბლის ხეებს დაებურათ და ჰაერი შეეკრათ. თითქმის ყველას ეძინა, ხალხს ესადილნა, გამაძღარიყო და მხარ-თეძოზე წამოწოლილიყო; ფრინველი მიჩუმებულიყო; მწერები აქედ-იქით მიმალულიყვნენ. შინაური პირუტყვი ხომ რაღა: რქოსანი და ურქო საჩეხ ქვეშ მოგროვილიყო. ძაღლს ბეღელთან ორმო ამოეთხარა, შიგ ჩაწოლილიყო, თვალები დაეხუჭა, ნახევარ ადლამდე ალის-ფერი ენა გამოეგდო და დრო-გამოშვებით ჰქშინავდა. ხან სიცხით შეწუხებული, ისე ამთქნარებდა, რომ ამ მთქნარებაში ღმუილი გამოისმოდა. ღორი, ცამეტის შვილის დედა, წასულიყო თავის გოჭებით წყლის ნაპირას და წუმპეში ჩაწოლილიყო; მხოლოდ სრუტუნა დინგი, რომელზედაც ორი შავი ნესტო სათოფესავით გამოიჭყიტებოდა, ტალახში მოსვრილი ზურგი და უშველებელი ყურები-ღა უჩანდა. მარტო ქათმები თითქოს არ ეპუებოდნენ სიცხეს, ჰაიჰარად ჰქექავდნენ მიწას სამზარეულოს პირ და-პირ, იმ მიწას, რომელშიაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ერთს მარცვალსაც ვერ იპოვნიდნენ. მამალს კი ეტყობოდა სიცხე მეტად აწუხებდა, რადგან დრო-გამოშვებით სულელურად იჭიმებოდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა გაჰკიოდა:— «ჯარო-ჯამაათო, რა ამბავიიია!»

ასე და ამ ნაირად, როგორც მოგახსენეთ, ამ ბაღის პატარა ოლეზე, სადაც მეტის-მეტად ცხელოდა და ყველას ეძინა, ერთი ადგილი-ღა იყო და იქ მთელს კრებას ერთ გვარის საზოგადოებისას თავი მოეყარა. მარტო ამათ არ ეძინათ; დინჯად ისხდნენ, თითქო სადარბაისლო მუსაიფობისთვის ემზადებიანო. თუ მართალი გნებავსთ, არც ყველანი ისხდნენ: მაგალითად, ერთს ბებერს ქურანცხენს, რომელსაც ანტონას შოლტისაგან გვერდები სრულიად დასერილი ჰქონდა, თავის ბულული გაექექა და თავი წაეყო შიგა,—ეს ხომ ვერ დაჯდებოდა, თუნდა ძალიან გულითაცა სდომოდა კიდეც რაღაც ჭია, რომელიც მერე პეპელად იქცევა ხოლმე, არც ის იჯდა და გულდაღმა ეგდო... ან კი რას დავდევთ, იწვა, ვინმე თუ იჯდა,—საქმე იმაშია, რომ ალუბლის ქვეშ პატარას და მართებულ საზოგადოებას თავი მოეყარა: ლოკოკინა, ხარაბუზა, ხვლიკი, ზემოხსენებული ჭია; მოსკუპდა კუტი-კალიაც. იქვე იდგა ქურანი ცხენიც, ყურს უგდებდა მათს ლაპარაკს — მათკენა ჰქონდა გაშვერილი ცალი ქურანი ყური და ზედ ორი თქვენი მოწონებული ბუზი შემომჯდარიყო.

ეს ხალხი თავაზიანად, მაგრამ ცხარედ ეკამათებოდა ერთმანერთს და ამასთან, ჩვეულებისამებრ, ერთი მეორეს არ ეთანხმებოდა, რადგანაც ყველა თავის სიტყვაზე მაგრად იდგა და თავისი აზრი ძვირფასად მიაჩნდა.

— ჩემის აზრით, ამბობდა ხარაბუზა, რიგიანმა და წესიერმა პირუტყვმა ყველაზედ უწინარეს თავის შთამომავლობაზედ უნდა იზრუნოს. კაცი იმიტომა ჰცოცხლობს და არსებობს, რომ საშვილი-შვილოდ იშრომოს და ჯაფა გასწიოს. იმ სულიერს, რომელიც ჰგრძნობს და ესმის რამ და თავის მოვალეობას ბუნების მიმართ ისე ასრულებს, ფეხი მაგარზე უდგას. მან კარგად იცის თავისი საქმე და რაც უნდა მოხდეს, პასუხის გებაში არ ჩავარდება. აი თუნდა მე! ვინა შრომობს ჩემზე ბევრს? ვინ ასრულებს ჩემსავით მთელს დღეს შეუსვენებლივ ამ მძიმე გუნდას?—გუნდას, რომელიც მე თითონ შევქმენი დიდის ოსტატობით ნაგვისაგან იმ დიდის აზრით, რომ ჩემისთანავე ხარაბუზები გავაჩინო? ამისათვისაც არა მგონია, რომ ვისმე ჩემსავით სინიდისი წმინდა ჰქონდეს და შეეძლოს თქმა: „დიაღ, მე იგი ვქმენ, რაც შემეძლო და რაც უნდა მექნა“, როგორც მე მეთქმის, როდესაც ქვეყნად ახალი ხარაბუზები დაიბადებიან. აი რას ნიშნავს შრომა და გარჯა!

— წადი ერთი იქით! რა თავი მოგაქვს შენის შრომითა და გარჯით!— უპასუხა ჭიანჭველამ, რომელსაც, როცა ხარაბუზა ლაპარაკობდა, სიცხისა არ შეშინებოდა და ვეებერთელა ხმელის ჩხირის ღერი მოეთრია. მან ცოტა შეისვენა, ქარი ამოიღო, უკანა ოთხ ფეხზედ ჩაცუცქდა და წინა ორის ფეხით-კი დაღალულის სახიდგან ოფლი მოიწურა.—მეკი არ ვირჯები და ვშრომობ?! აბა ამ ჩემს ოფლს უყურე, წურწურით რომ ჩამომდის. შენ მუშაობ შენის თავისათვის, თუნდ შენის შვილების—ხარაბუზებისათვის,— ეგ ხომ სულ ერთია! ყველა შენსავით ბედნიერი არ არის... აბა სცადე და ჩემსავით შეშა ჰზიდე ხაზინისათვის. მე თითონაც არ ვიცი, რა მამუშავებს ასე გულ-დასმით ამ სიცხეში.— მადლობასაც კი არავინ მეუბნება. ჩვენ, საბრალო მუშა-ჭიანჭველები, სულ ვმუშაობთ და მერე რითია ჩვენი ცხოვრება კარგი? ეჰ, ყველაფერი ბედი ყოფილა, ჩემო ძმაავ!

— შენ, ხარაბუზავ და თქვენ, ბ-ნო ჭიანჭველავ, სულ სხვა თვალით უყურებთ ცხოვრებას, მიუგო კუტმა-კალიამ. არა, ხარაბუზავ, მე მიყვარს ჭრიჭინი და ხტომა, მაგრამ მაინც სინიდისი არა მტანჯავს! ამას გარდა, თქვენ ხმაც არ ამოგიღიათ იმ საგანზე, რაც პატივცემულმა ხვლიკმა მოგახსენათ: „ქვეყნიერობა რა არისო?“ და რაღაც ნაგვის გუნდაზე კი გააბით ლაპარაკი; სწორე მოგახსენოთ, ეს ვერაფერი ზრდილობა მოგივიდათ. ქვე-

კიდევ სხვა ექიმი დაენიშნა, რადგანაც ამ საგანს მცხოვრებლებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

⁂ ჩვენ გუშინდელს ნომერში გვქონდა დაბეჭდილი, რომ ვიღაც სასამართლოს მოხელემ დასჭრა თამამშოვის ქარვასლის ქვეშ მყოფის სასტუმროს პატრონი. აი ამ ამბის შესახები დაწვრილებითნი ამბები: ზემოხსენებულ სასამართლოს მოხელეს დ. ყიფიანს თურმე თავის ამხანაგებით უქეიფნია ქარვასლის ქვეშ „ტილიპუჩურის“ სასტუმროში. როდესაც მოქეიფენი აშლილიყვნენ, სასტუმროს პატრონს არტემ კამალოვს დანახარჯის ანგარიში წარედგინა, რომლიდგანაც სჩანდა, რომ 14 მანათი ერგებოდათ. ყიფიანმა თურმე თუმანი შეაძლია. რომ არ დაეთანხმა სასტუმროს პატრონი 14 მანათში თუმნის აღებას და დანარჩენის თხოვნაც დაუწყო, ყიფიანმა შეაგინა და სასტუმროს პატრონმაც თურმე რაღაცა უზრდელი სიტყვა აკადრა. ეს ველარ მოუთმენია ყიფიანს და ხანჯალი უხმარია. სასტუმროს პატრონი, როგორც ჩვენს გუშინდელს გაზეთშიაც ამოიკითხავდით, დაჭრილია ხელში და მხარში. ყიფიანი ისე მთვრალი ყოფილა, რომ ხანჯლის ტრიალის დროს თავისთვისაც მოუხვედრებია ფეხში და, როგორც ამბობენ, ძარღვი გაუჭრია. ერთმა პოლიციის მოხელემ და ხუთმა პოლიციის ჯარის-კაცმა ძლივს დაიმორჩილეს თურმე გაბოროტებული ყიფიანი. ბოლოს რის წვალებით ფაეტონში ჩასვეს და პოლიციის მე-4 განყოფილებაში მიიყვანეს. ამ საქმის გამო გამოძიება უკვე სწარმოებს.

⁂ 4 ივლისს, ტფილისში მცხოვრებელი ზაქარია სტეფანეს-ძე გოგელაძე თავის სახელოსნოში მუშაობის დროს უეცრად გარდაიცვალა. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 5 ივლისს ქალაქის ექიმს მრევლოვს პოლიციის მოხელეთა დახმარებით 11 ფუთამდე ხილი და 100-მდე საზამთრო გადაუყრევინებია.

⁂ 6 ივლისს, მე-5 ნაწილში, იარმუკაზე გიგო ვართანოვის დუქნიდგან პატრონის თანხმობით გადაუყრიათ ორმოც-და-ორი ფუთი ქუთაისიდგან მოსული დამპალი მსხალი.

⁂ 7 ივლისს, მე-4 ნაწილში თამამშოვის ქარვასლაში ვაჭართ ალავერდოვისა და მელქიქოვის დუქნიდგან მოუპარავთ სხვა-და-სხვა საქონელი 1,000 მანათისა. ამ ქურდობაში ეჭვ-მიტანილი ამავე დუქნის დახლიდარი გიორგი ასლამაზოვი დატუსაღებულია და ნაწილი ნაქურდალისა ნაპოვნი.

⁂ 8 ივლისს, ღამის 3 საათზე პეტარა-ორბელიანოვის ქუჩაზედ ფაკლენოვის სახლის კიბის ქვეშ ნაფოტებს ცეცხლი მოეკიდა. მიზეზი ჯერ არ შეუტყვიათ. ცეცხლი პოლიციის შემწეობით ჩაუქრიათ. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 8 ივლისს პოლიციის მე-9 ნაწილში იტალიანების კონსულის სადგომის ბაღჩაში ვიღაც ნახიჩევნის მაზრის, სოფ. აკულისის მცხოვრებელი მოლლა-მამედ-ოღლი შეპარულიყო და ბალახებში დამალულიყო. უეჭველია, გაქურდვა ენდომებოდა კონსულისა. დამალული კონსულის მსახურებმა დაიჭირეს და ზედ-კი იარაღი ვერ უპოვნეს. გამოძიება სწარმოებს.

⁂ 8 ივლისს, სამსახურს გარეშე მყოფი ტიტულიარნი სოვეტნიკი ადამ მიხეილის ძე პელჩევსკი თავის სადგომში, არტილერიის ბალკაში მოხოვის სახლებში, უეცრად გარდაიცვალა გულის ფრიალით.

⁂ 8 ივლისს საღამოზე საბოტანიკო ბაღის სასტუმროს ლაქიას—იმერელს მაქსიმე კვანტრიშვილს ლაპარაკი მოუვიდა თავის პატრონთან ივანე დოლმაზოვთან, დამბაჩა ესროლა და მარცხენა ხელში დასჭრა. დამნაშავე დატუსაღებულია და საქმე გამომძიებელს გარდაეცა.

⁂ 9 ივლისს, პოლიციის 1 ნაწილში, განთიადისას გარაზის ხევში უპოვნიათ ტფილისის მოქალაქის აზრო გელაძის გვამი. როგორც გვამს ეტყობოდა, გელაძე ძალით იყო მოკლული. მოკლულის გვამი ანატომიურს კაბინეთშია გაგზავნილი. გამოძიება სწარმოებს.

⁂ სოფელ წევიდგან შემდეგს შემაძრწუნებელს ამბავსა გვწერენ: აქ ჩამოვიდნენ ოსები, რომლებიც შავქვას (მარგანეცს) ეზიდებიან ურმებითა და ცხენებით, და დიდს უწესოებას სჩადიანო. ამას წინედ, მაგალითებრ, დაეჭირათ ერთი სოფლელი ქალი თორმეტს ოსს და ისე გაუუპატიურებიათ, რომ საბრალო ძლივს-ღა მოათრიეს შინ ურმით ცოცხალ-მკვდარი. ესეთივე ამბავი შემთხვევის ერთ სხვა სოფლელს ქალსაც. ამას გარდა, გუშინ-წინ ერთი აქაური ქალი მიდიოდა გზაში და თან მიჰყვანდა პატარა ყმაწვილი. შემოეყარნენ ოსები და გაეკიდნენ უკან, მაგრამ ამ დროს ქალის ბედზე მისი მეზობელი წამოესწრო და გააფრთხო ოსები. ამ გარემოებას ყურადღება უნდა მიექცეს, თორემ სოფლელებსა და ოსებს შუა რაიმე უბედურება მოხდებაო.

⁂ იქიდგანვე გვატყობინებენ: ნამდვილად შევიტყეთ, რომ რკინის-გზის გამგეობას უკვე გარდაუწყვეტია გახსნას სოფ. წევაში რკინის გზის სადგური. ამ სადგურისთვის ქვის მოტანა უკვე აიღო იჯარით ერთმა კაცმაო. ამ საქმეში მადლობის ღირსნი არიან ზოგიერთნი პირნი, რომელთაც ხსენებულის სადგომის გახსნა ითხოვესო. ამასვე ამბობენ სვირის სარკინის გზო სადგურზედაც.

⁂ შურიდგანა სწერენ გაზ. «ახ. მიმოხ.»: 30 ივნისს, საღამოს 3 საათზედ აფიცრების კრების სასტუმრო ოთახში სულით ავად-მყოფმა პორუჩიკმა პ. ტყვია იკრა შუბლში. პ. ყმაწვილი კაცია, 26 წლისა და ძალიან საყვარელი იყო ამხანაგებისა. ამ ერთის თთვის წინედ უთხრა თურმე თავის უფროსს, რომ მე ამისთანა ავად-მყოფობაში სამსახურით ვერაფერს სარგებლობას მოგიტანთ და ან როტა ჩამომართვით, ან ერთის თთვით სამსახურიდგან განმათავისუფლეთო. უფროსმა გაანთავისუფლა, დაითხოვა ერთის თთვით და ისიც წავიდა დიდის იმედით, რომ მოგზაურობაში როგორმე გაერთობოდა. მაგრამ, საუბედუროდ, იმედი არ გაუმართლდა. 27 ივნისს დაბრუნდა მოსკოვიდგან ისეთივე ავად-მყოფი, როგორც წავიდა. რომ ველარა ეშველა-რა, 30-ს თვითონვე დაიდგინა თავისი განაჩენი.

⁂ გაზ. „Каспій“-ში შემდეგს ამბავსა ვკითხულობთ: ამას წინად გავრცელდა ხმა, რომ კუბის ახლო ფოსტა გაუცარცვავთო. აი როგორა ყოფილა ეს საქმე: ამ დროს კუბისკენ ფოსტას უნდა გაეარნა ხიდზედ. ამ ხიდს ქვეშ წყაროა, სადაც მგზავრები ისვენებენ. საღამო ხანს, ფოსტას თან მოსდევდა ფოსტალიონი, ზედა-მხედველი, „იამშჩიკი“ და ორი ცხენოსანი ყარაული. ხიდს რომ მიუახლოვდნენ, თურმე ხიდის ქვეშ ბანჯგვლიანი თავი დაინახეს, ავაზაკები ეგონათ და თურმე ისე შეშინდნენ, რომ «იამშჩიკმა» რაც ძალა და ღონე ჰქონდა ცხენები გარეკა, ფოსტალიონი ფოსტიდგან გადმოვარდა და ჯარის-კაცთ სროლა დაიწყეს. შემდეგ ყველაფერი გამოაშკარავდა, აღმოჩნდა, რომ შიშს დიდი თვალები ჰქონია და რომ ხიდის ქვეშ სულ სამი თათარი ყოფილიყო, რომელნიც კუბიდგან თურმე თავის სოფელში ბრუნდებოდნენ.

⁂ გაზ. „Одес. Вѣс.“-ში შემდეგს ამბავსა ვკითხულობთ: ოდესის ქალაქის თავათ ნამყოფი ბ-ნი ნოვოსელსკი ამ ჟამაც ლონდონშია და იქაურს მდიდარ მოსაქმეებთან მოლაპარაკება აქვს იმის თაობაზედ, რომ საზოგადოება შევადგინოთ და ჩემი საკუთარი ტყიბულის ქვა-ნახშირის მადნები ვაწარმოვოთო. ნოვოსელსკის პროექტი თითქმის აღსრულებაში მოდის: საზოგადოებას უნდა ნოვოსელსკის მოთავეობით დაარსოს სანავოსნო, რომ ქვა ნახშირი ოდესსაში ზღვით გადიტანონ.

დამაკვირდი

შეუმწიკვლელი გული და ყოფა-ქცევა უმთავრესი დიდებაა დედა-კაცისა.
(მადამ დე-სტალ)

—

ოქროს ცეცხლით გამოსცდიან, დედა-კაცს ოქროთი, მამა-კაცს დედა-კაცითა.
(ჩილონი)

—

ვინც პირ-მოთნეა, ძალიან ადვილად დასაჯერია, რომ იგი ცილის მწამებელიც იქნება.
(ბურინგტონი)

—

რა მიერ გამგებელისა
ცეცხლი აღეგზნას, ალები,
ყოველს ცდასა და [illegible]
გონი დასწვას და თვალები
(ვახტანგ VI)

—

ურცხვი ის არის, ვინ სიტყვა
მოყვასისა არ დამარხოს,
თვისი ავი არად სცნდეს
და სხვის მალე დაინახოს.
(არჩილ მეფე)

დაბა დ სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლეჩხუმი. ჩვენი მაზრა წარმოადგენს ერთს თავ-შესაფარს ბინას ცრუ-მორწმუნეობისას. ჩვენში აქა-იქ ხშირად შეხვდება კაცი ისეთს ცრუ-მორწმუნეობას, რომელიც დარჩენილა ძველ კერპობის დროდამ: მაგალითად, შეხვდებით ისეთს სოფელს, რომლის მცხოვრებთაგანნი მამა-შვილს, ძმა-ძმას, მეზობელი-მეზობელს რაც უნდა გაჭირვებული მიადგეს ერთი მეორეს ერთ მუჭა ჭირნახულს, ან კაკალს და ან ფქვილს არ ასესხებს, იმ რწმუნების გამო, რომ თუ ხელი გაუმართა, ღვთის საწყენი საქმეაო; რომ იმ წლის მოსავალი ხელს გადაჰყვება და აღარაფერი აღარ მოუვა ხელის გამმართველსაო.

მეორე ადგილას შეხვდებით, რომ მთელს სოფელს, მთელს ხალხს აურჩევია ერთს რომელიმე მაღალ გორაკზედ მდგარი მსხვილი ხე, ანუ ქვა და იმას სცემს მოწიწებით თაყვანსა, აქვს მის სადიდებლად დადებული საკუთარი დღესასწაული, მიდის მთელი ხალხი სხვა-და-სხვა შესაწირავებით, უვლის ხეს, ანუ ქვას ლიტანიით და ადიდებს ამ დღესასწაულს ყველა მართალ სოფლის დღესასწაულზედ მეტად. ნახავთ ისეთს მხარესაც, სადაც დედა-კაცები ეკკლესიის სიახლოვეს ვერ გაივლიან და წირვის მოსმენის ღირსნი ვერ შეიქმნებიან დედათ ბუნების გამო. ხალხის რწმენით, თუ ასეთი ცოდვილი დედა-კაცი მიუახლოვდა ეკკლესიას, ხატი მთელს სოფელს ამოაგდებსო.

საახალწლო სკლავის ხორცს, რომელსაც საკალანდოს უწოდებენ, არავის არ აჭმევენ, თუ არ თვის ოჯახის-შვილებს იმ რწმუნების გამო, რომ თუ სა-

---

ყნიერობა—ქვეყანა, ჩემის აზრით, მეტად კარგი რამ არის ჯერ მარტო იმიტომ, რომ მასზედ ჩვენთვის მოიპოვება ნორჩი ბალახი, მზე და ნიავი. ამასთანავე უნდა ვსთქვა, რომ მეტად დიდი და ვრცელიც არის! თქვენ ამ ხევში შემალულებს არ შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ და რაიმე ცნობა იქონიოთ იმაზედ, თუ რამ სიდიდეა ქვეყანა. როდესაც მე მინდორზედა ვზივარ, ხან-და-ხან მაღლა შევხტები ხოლმე და თუ ქეიფზედაცა ვარ, გარწმუნებთ, ძალიან მაღლაც შევხტები ხოლმე,—და იქიდგანა ვხედავ, რომ დედა-მიწას საზღვარი არა აქვს.

— მართალს ამბობთ, დაუკრა კვერი ქურანმა ცხენმა, მაგრამ ნუ კი გეწყინებათ და ეს კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენ იმის მეასე ნაწილის ხილვასაც ვერ ეღირსებით, რაც მე მინახავს ჩემს სიცოცხლეში. ვწუხვარ, რომ არ იცით, თუ რას ნიშნავს ვერსი... აქედგან ერთს ვერსზე მდებარეობს სოფელი ლუპარევკა, მე ყოველ-დღე დავიარები იქა წყლის ბოჭკითა. ეს კი იცოდეთ, არაფერს მაჭმევენ ხოლმე. მეორეს მხრით არის ეფიმოვკა, კისლიაკოვკა; ამ კისლიაკოვკაში ეკკლესიაა, ასე გასინჯეთ, სამრეკლოთი ამას მოსდევს სვიატო-ტროიცკისა, ბოგოიავლენსკი. ბოგოიავლენსკში ყოველთვის მაძლევენ ხოლმე თივას, მაგრამ ვერაფერი თივა იციან. აი, მაგალითებრ, ნიკოლაევი,—ეს ისეთი მშვენიერი ქალაქია, ოც-და-რვა ვერსია აქედგან, რომ იქ თივაც კარგია და ბლომადაც მაწვდიან. ტყუილი ცოდვაა, კარგი მასპინძლობა იციან, მაგრამ მე არ მიყვარს იქ წასვლა: როცა იქ მივდივართ, ბატონიც ჩვენთან მოდის და «კუჩერს» ეუბნება, ჩქარა გარეკეო და ისიც რაც შეუძლიან გვიტყაპუნებს... არის კიდევ ალექსანდროვკა, ბელოზიორკა, ხესრონი—ესეც ქალაქია... მაგრამ თქვენ აბა რა გითხრათ, რას გაიგებთ!.. აი ეს არის ქვეყნიერობა, აი! თუმცა მთელი ქვეყანა კი არა, მაინც უმეტესი ნაწილი-კი.

ქურანი ცხენი გაჩუმდა, მაგრამ ქვემო ტუჩი მაინც კიდევ უტოკდა, თითქოს რაღასაც დუდუნებსო. ეს სიბერით მოსდიოდა: ის უკვე შვიდმეტის წლისა იყო და ამდენი წელიწადი ხომ იმდენივეა ცხენისთვის, რამდენიც კაცისთვის სამოც-და-შვიდმეტი.

— მე არ მესმის თქვენი ცხენებური ბრძნული ლაპარაკი და, გამოტეხით რომ ვსთქვა, არც ძალიანა მსურს მისი გაგება, სთქვა ლოკოკინამ. მე ოლონდ ძირხვენას ფოთოლი მეშოვებოდეს და მკმარა კიდეც: აგერ ოთხი დღეა ვცოცავ და კიდევ ვერ გადავცოცდი ფოთოლს. ამ ძირხვენას შემდეგ, მეორე ძირხვენაა კიდევ და იმაზედაც უეჭველია ლოკოკინა ჰზის. მორჩა და გათავდა. არც ხტომაა საჭირო და არც არაფერი—ესენი სულ მოგონილია და უჭკუობა. იჯდე შენთვის და ჰამე ფოთოლი, რომელზედაც ჰზიხარ. ცოცვა რომ არ მეზარებოდეს, დიდი ხანია გაგეცლებოდით თქვენა და თქვენს ყბედობას: თავი მეტკინა, ტყუილა-უბრალოდ...

— მომითმინეთ, ბატონო, არა, რატომ? გააწყვეტინა სიტყვა კუტმა-კალიამ,—ძალიან სასიამოვნოა ჭრიჭინი, მერე იმისთანა კარგს საგნებზედ, როგორც ქვეყანაა და სხვა ამ გვარი მაღალ-ფარდებიანი საგანი. რასაკვირველია, არიან იმისთანა საქმიანი კაცები, რომ მარტო მუცლის გავსებაზედ ზრუნვენ, როგორც თქვენა და ეს მშვენიერი ჭია.

— არა, არა! ჩემზე ნურას იტყვით! თავი დამანებეთ, თუ ღმერთი გწამთ! შესაბრალისად წამოიძახა ჭიამ.—მე ამას მერმისისათვის ვჩავდივარ, მხოლოდ მერმისისათვის.

— რა მერმისისათვის? რას მიელმოდები? ჰკითხა ქურანმა ცხენმა.

— განა არ იცით, რომ გარდაცვლის შემდეგ მე ჰრელ-ფრთებიან პეპლად ვიქცევი?

ცხენმა, ხელიკმა და ლოკოკინამ ეს არ იცოდნენ, მწერებს კი გაეგებოდათ ცოტა რამ. ყველანი დაჩუმდნენ, რადგანაც არავინ არ იცოდა, რა ეთქვა ამ ჭიის მერმისზე.

— ადამიანის აზრსა და რწმენას უნდა პატივის-ცემით მოეპყრას ყველა, ჩაიჭრიჭინა დასასრულ კუტმაკალიამ.—ხომ არავისა ჰსურს კიდევ რამ ბრძანოს? იქნება თქვენც სათქმელი რამე გქონდეთ, რატომ არასა ბრძანებთ? მიუბრუნდა ბუზებს.

უფროსმა ბუზმა უპასუხა:

— ჩვენ ჩვენს ყოფა ცხოვრებას ვერ დავემდურებით. ეს არის ეხლა გამოველით სახლიდამ; დიასახლისმა ქილებით მურაბა გაამწკრივა, ჩვენ შევიპარენით სახურავ ქვეშ და კარგად გამოვძეხით. ჩვენ ბედნიერები ვართ. დედა-ჩვენმა, მართალია, თავი დაირჩო მურაბაში, მაგრამ არა უშავს-რა: ერთი რომ სახელოვანად და ტკბილად მოკვდა და მეორე,—საკმაოდაც იცოცხლა ქვეყანაზედ. არა, ჩვენ ვერ დავემდურებით ჩვენს ბედს.

— ბატონებო, სთქვა ხელიკმა, ჩემის აზრით, ყველანი მართალსა ბრძანებთ ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით...

ველარ-კი გაათავა, რა იყოს მეორეს მხრით, რადგანაც ამ დროს იგრძნო, რომ რაღაცა დააწვა კუდზედ.

ეს „კუჩერი“ ანტონა იყო, რომელიც ცხენის წასაყვანად მოვიდა; მან უცაბედად დაადგა ფეხი მთელს ამ დარბაისელს კრებას და, თურმე ნუ იტყვით, სულ ყველანი კი გაჭყლიტა. მარტო ბუზები გადარჩნენ და გაფრინდნენ მურაბაში ჩამრჩვალის დედის სალოკავად. გადარჩა ხელიკიც, მაგრამ კუდ-მოწყვეტილი-ღა გაიქცა. ანტონმა გაიყვანა ცხენი, რომ შეება და წყლის მოსატანად წასულიყო და თან დაატანა: დაიძარ, კარგია, კუდბაწარავ! რომლის პასუხად ცხენმა მხოლოდ რაღაცა ჩაიხვიხვინა...

ხელიკი კი უკუდოდ დარჩა. მართალია, რამდენისამე ხნის შემდეგ წამოეზარდა კუდი, მაგრამ მაინც დამორილი და ჩაშავებული ჰქონდა. როცა ჰკითხავდნენ, როგორ დაიშავე კუდიო, თავ-მდაბლად უპასუხებდა ხოლმე:

— ეს იმიტომ მომგლიჯეს, რომ ჩემი აზრი უნდა წარმომეთქვა. მართლის თქმას ეს მოსდევს ხოლმეო...

და არც ტყუილი უთქვამს!..

ორ-ანი

კალანდოს გამო სხვას აგემეს, წმიდა ვასილი გასწყრება; ოჯახს შეარისხებს ღმერთთან და ცუდი წელიწადი დაუდგება. საკალანდოს თავს დაჭკიდებენ სხვენზედ და ნათლის-ღებამდის იმაზე ლოცულობენ.

თუ დილით სადმე მიმავალს მღვდელი შეხვდა წინ, უკან უნდა დაბრუნდეს, თორემ იმ დღეს იმას ხეირი არ დაუყრება! ზოგან ჩვენში დადებული აქვთ ოთხ-ფეხის და ორ-ფეხის საქონლის სამლოცველო დღე. ამ დღეს დაჭკლავენ უფროს ოჯახში მსხვილს საკლავს, უფრო ხშირად შინაურს ფრინველს, რომელსაც საქონლის სანგელოზოს ეძახიან. ლოცვას ასრულებს ოჯახის უფროსი, მამა-კაცი ან დედა-კაცი, რომელიც დამზადებულია სანოვაგით სავსე ხონჩით, დაივლის პირუტყვების სადგურებს და ევედრება იმათ ანგელოზებს, რომ პირუტყვი გაუმრავლოს. ლოცვის შესრულების შემდეგ, რომელიც გასტანს ხოლმე გათენებამდის, მსხვერპლი უნდა შესჭამოს მარტო მლოცველმა და ვერავის ვერ უწილებს ოჯახში, და ვერც მეორე ჯერისთვის შეინახავს; თუ ვერ დაერია, ან უნდა დასწვას და ან უნდა გადაყაროს. თუ ეს წესი დაარღვია, მაშინ საქონელი ხელიდამ წასულია.

მიცვალებულს თუ ბოლომდ არ დაუგლეს საკლავები და დიდი ქელეხი არ გადუხადეს, მისი სული საიქიოს მშიერია და ჭირისუფლებზედ მომდურავიო და სხვა-და-სხვა ..

ლეჩხუმში წელიწადში ორჯელ იმართება ხოლმე ბაზრობა; პირველი არის ხოლმე შვიდს მაისს სოფ. ორბელს ლაჯანურის პირზედ, და თავდება ხუთმეტს იმავე თვისას. მეორე იწყება ცამეტს ენკენისთვეს და ათ-თორმეტ დღემდის არის ხოლმე. ორივე ბაზრობაზე ხალხი ბლომად იყრის თავს, მეტადრე ცაგერისაზე. აქაურს მკვიდრთა და მოვაჭრე ხალხს გარდა, მოდიან სამეგრელოდამ, ქუთაისიდამ, რაჭიდამ და სხვა ადგილებიდამაც.

აქაურს სავაჭრო მოედანზედ უფრო თვალ-საჩინო ადგილი უკავია ოთხ-ფეხს საქონელს, განსაკუთრებით ცხენის ვაჭრობა უფროა გავრცელებული, მანიფაქტურისა და ადგილობრივ ნაწარმოებს ადებ-მიცემობაც არ არის მუშტარ-მოკლებული.

ჩვენის მაზრის ახალ-თაობა და ბევრი სხვაგნიდამაც მოსულები ყოველ საღამოობით შეიყრიდნენ ხოლმე თავს ბაზრის მოედანზედ, გაიმართებოდა ცხენების მარულა, ჯირითი, ჭიდაობა და სხვა ამ გვარი საერო გასართობი. წლევანდელს ბაზრობას კი სულ სხვა ნაირი ფერი ედო: ხალხი ძალიან ცოტა იყო, ვაჭრებმაც არ გაიარეს, სავაჭრო ცოტა შემოიტანეს, — ერთის სიტყვით წლევანდელი მაისის ბაზრობა სწორედ აჩრდილი იყო წინანდელისა.

თავად-აზნაურობაც ჩვეულებრივ მხიარულად არ შეეგებნენ წლევანდელს ბაზრობას. თითო-ოროლას თუ შეხვდებოდით; აღარც მარულა, აღარც ჯირითი და აღარც ჭიდაობა.

სულ ცოტა ხანია მას შემდეგ, რაც სოფ. ცაგერას თ. თ. ა—ნის საბძლისათვის წაუკიდებია ვიღაცას ცეცხლი და გადუწვავს თავის მოწყობილობით. ამბობენ, ზარალი ოთხას—ხუთას მანეთამდის სწრისო. ამაზედ უფრო უარესი შემთხვევის მოწამეც შევიქმნით: თერთმეტს ივნისს დილის თერთმეტს საათზედ, როგორც გვიამბეს, მოიკლა დამბაჩით თავი ერთმა აქაურმა ცხრამეტის, თუ ოცის წლის ახალგაზდა ყმაწვილმა გვარად ჩ—ნმა. დამბაჩა დაუცია მარცხენა ფერდში და ტყვია ზურგში გასულა. საბრალო ყმაწვილს ორი თუ სამი საათიღა უცოცხლია; ისე მხნედ და მარჯვედ კი ყოფილა, რომ უკანასკნელს წამებში თურმე ერთიც არ ამოუკვნესია. ამ ნაირი შემთხვევა თითქმის პირველია ჩვენში. ყველას უკვირს, რამ მაიყვანა ეს საცოდავი ყმაწვილი-კაცი იქნამდის, რომ თავი მოეკლა. ამ ამბავმა აქაური საზოგადოება ძალიან შეაწუხა.

ქაიხოსრო გელოვანი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

საფრანგეთი შიშით და კრძალვით და ევროპა კი დიდის ყურადღებით თვალს ადევნებს რადიკალ სამხედრო მინისტრს, საფრანგეთის ჯარების მთავეს გენერალ ბულანჟეს. რათ იპყრობს ასეთს დიდს ყურადღებას გენერალი ბულანჟე?

დიდ-შესანიშნავია გენერალ ბულანჟეო, ამბობს გაზეთი «Новое Время», საკვირველ გამბედაობასა და რიხს იჩენს, საფრანგეთის დამსახურებულს გენერლებს ტიკინებივით ათამაშებსო. მარცხნივ და მარჯვნივ საყვედურს უთვლის გენერლებს, რომ თქვენს ნებაზე იქცევითო, ორლეანის პრინცებს საფრანგეთიდამ სდევნის; მთელ საფრანგეთში დაიარება და სიტყვას სიტყვაზე ამბობს, პარლამენტში და მინისტრების რჩევაში ისე თამამად უჭირავს თავი, ხან-და-ხან ისეთ სიტყვას წამოისვრის, რომ მინისტრებს და «ზომიერ რესპუბლიკანელებს» ღრმად დააფიქრებს ხოლმეო. „დღესვე რომ მე თქვენი დატუსაღება მოვინდომო, პატივცემულნო მინისტრნო, ძვირფასნო ჩემო მეგობარნო, მერწმუნეთ, რომ გენერალი სოსიე ხელს ვერ შეუშლის ჩემს წადილსაო!,“—ასე გაბედვით ელაპარაკება თურმე ბულანჟე თავის ძვირფასს მეგობრებსაო.

ეს გარემოება ისეთივე დასაფიქრებელიაო, ამბობს გაზეთი, როგორც მე 18 რიცხვი ბრუმერისა, როდესაც საფრანგეთის პირველი გენერალი საფრანგეთის პირველ იმპერატორად გარდაიქცაო.

«ზომიერ რესპუბლიკანელებს» ეს კარგად ესმით და ამიტომ მწარედ ჩაფიქრდნენო, მაგრამ საქმით ვერა მოუხერხებიათ-რაო, განაგრძობს გაზეთი. საბრალო რესპუბლიკანელები მხოლოდ წუწუნებენ და ქათმებივით კი თავები ფრთას ქვეშ ამოუდვიათო. ეტყობა ქათმების დანიშნულება ყოველთვის მხოლოდ ის არის, რომ არწივის მადას კუჭი მოუკლოსო!...

არწივად ვის იგულისხმებს გაზეთი, ადვილი მისახდომია. გენერალი ბულანჟე მართლა და რომ არწივივითა შლის ფრთებსა და ძალიან მაღლა აპირებს აფრენას. საქმეს ხერხიანად შესდგომია. ბულანჟეს ეტყობა კარგად შეუსწავლია საფრანგეთის ერის ხასიათი. ბულანჟე ვრცელ რეფორმებს შესდგომია.

ამ რეფორმების თავი და თავი აზრი ის არისო, ამბობს იგივე გაზეთი, რომ საფრანგეთის ერის გული მოიგოს, მისი სიყვარული და ნდობა მოიპოვოს, ხალხში სახელი გაითქვასო. ამავე განზრახვით ბულანჟე ცდილობს, ჯარებიდამ ხნიერი, დამსახურებული აფიცრები დაითხოვოს და ახალის ჯარის ხალხით შეავსოსო. ჭკვიან გენერალს ისიც არ დავიწყებია, რომ ცარიელის სიტყვით არა გამოვარაო და ამიტომ მოუთხოვია განსაკუთრებითი გარდასახადი სამხედრო საჭიროებისათვისაო.

როდესაც ამ ნაირად საქმეს საქმეზე მოაწყობსო, ამბობს გაზეთი, გასაოცარი არა იქნება რა, რომ ნაპოლეონ-ბულანჟემ ერთხელ კიდევ გაიხუმროს და შემდეგის სიტყვით მიჰმართოს „ზომიერს“ და „რადიკალ“ რესპუბლიკანელებსაო

„ჩემო მეგობარნო! ორი მილლიონი თოფის ლულა მხოლოდ ჩემს ბძანებას ელის, რომ ჩახმახი ფეხზედ დააყენოს. მაგრამ რა საჭიროა ტყუილ-უბრალოდ თოფის წამლის დახარჯვა და სისხლის დალვრა. ამიტომ არა სჯობია, ეხლავე თქვენის ნებით მაზასში (სატუსაღო ციხეა) წაბძანდეთ, თუ გნებავთ, და იქ მოელოდოთ ჩემს ბძანებასაო“.

ცხადიაო, განაგრძობს გაზეთი, რომ ამის შემდეგ

ორ მილლიონ თოფის ლულას ბულენჟე სტრასბურგისკენ მიჰმართავს და თუ სამხედრო ნიჭიც იმოდენა გამოიჩინა, რამოდენასაც გამბედაობას იჩენს მინისტრებთან, ეჭვი არ არის, რომ ბულანჟესაც იმისთანავე „ვანდომის სვეტს“ აღუმართვენ, როგორიც ნაპოლეონს, და მომავალმა ახალ-გაზდობამ ისევე უნდა თავი იმტკრიოს და ისწავლოს ბულანჟეს ისტორია, როგორც დღეს დიდ ნაპოლეონის ისტორიასა სწავლობსო.

ასე წინასწარ-მეტყველობს დღეს გაზეთი „Новое Время“ და ვნახოთ, როგორ გამართლდება ეს წინასწარ-მეტყველობა!...

უცხოეთი

საფრანგეთი რესპუბლიკელთა და მონარქიელთა შორის ხელ-ახლად გაჩაღდა ბრძოლა. ამას წინად ომალის ჰერცოგს საფრანგეთის პრეზიდენტისთვის გრევისთვის ერთობ მედიდური და მკაცრი ეპისტოლე მიუწერია. ამ გვარი კილო ეპისტოლისა ცხადად ამტკიცებს, რომ ორლეანელები აღარ ჰხუმრობენ და საქმეს პირ-და-პირ აყენებენ. ომალის ჰერცოგის საქციელმა ყველანი გააოცა ამიტომ, რომ არავინ მოელოდდა იმისაგან ამ გვარს საქმესა. 1848 წელსა თებერვალში რომ საფრანგეთში რევოლუცია მოჰხდა და ლუდვიგ ფილიპპე ტახტიდამ გადააყენეს, მაშინ ომალის ჰერცოგი ალჟირში იყო გენერალ-გუბერნატორად. იმ დროს ალჟირში მყოფმა ჯარმა და ფლოტმა სთხოვა ჰერცოგსა, პარიჟში ეხლა ცვლილება მოჰხდა, ნუ მიემხრობი ახალს მართებლობას, ჩვენ შენ მხარს მოგცემთო. მაგრამ ომალის ჰერცოგმა უპასუხა, რომ მე ერთს ხმას და გარდაწყვეტილებას ვემორჩილებიო და რესპუბლიკა მწამსო. საკვირველია, მას აქედ გავიდა აგერ ოც-და თერამეტი წელიწადი და თვის ადრინდელს აზრს და რწმენას გადაუდგა; ეხლა იგი ძალას ატანდა ფრეისინეს ასრულოს მასზე ის კანონი, რომელიც განდევნას თხოულობს. ერთის სიტყვით, მონარქიული დასი თავ-გამოდებულად მოქმედობს. ამას კარგად ჰხედავენ რესპუბლიკელები, რომელნიც დღემუდამ ბეჭდენ თვის გაზეთებში წერილებს, აფრთხილებენ ხალხს, რომ მონარქიელებს ჰსურთ ხალხი არივდარიონ, გამოიწვიონ როგორმე მათ შორის აყალ-მაყალი, რომ თავის საქმე ხერხიანად წაიყვანონო. მონარქიელები არა კისრულობენ ამ ბრალსა; ხოლო იმას კი არ უარ-ჰყოფენ, რომ მონარქიის აღდგენა უნდათ. იქადიან, მომავალს არჩევანებზე მონარქიის მხარეზე სამი მილლიონი კი არ იქნებაო, არამედ ექვსი მილლიონიო. საზოგადოდ, საკვირველი სულის ძალა გამოიჩინეს და გაცხარებული თავისას ჰქადაგობენ, რომ ამით მათმა საქმემ გაიმარჯვოს არჩევანების დროს. ჰბეჭდავენ წიგნაკებს პრინცების სურათებით და ხალხში ჰგზავნიან.

* * *

ინგლისი. ლონდონიდამ დეპეშით აცნობებენ გაზეთს «Новости»-სა: აქაური გაზეთები ლაპარაკობენო, რომ ახალი სამინისტრო უსათუოდ შესდგებაო, რადგანაც მომეტებულს ნაწილს აქაურის გაზეთებისას ეჭვი არა აქვთო, რომ გლადსტონის სამინისტრო სამსახურიდამ დაითხოვებაო. „Times“-ი და „Standard“-ი იმ აზრისანი არიან, რომ ახალი სამინისტრო უსათუოდ კოალიციური იქმნებაო; რომ იმაში იქმნებიან ტორიებიც და ვიგებიც და ამ გვარის სამინისტროს მეთაურად მარკიზ გარტინგტონი უნდა იყოსო.

— ინგლისების საქმე იმ ნაირადვე უხეიროდ მიმდინარეობს ბირმაში, როგორც სუდანში. ბირმანი, — ეს კოროლის ტიპის მონარქია, მართალია, ადვილად დაიპყრეს, მაგრამ იქ ფეხის მოკიდება და თვისის მართებლობის დამკვიდრება კი ძალიან უძნელდებათ ინგლისელებს. საქმეს ის უფრო აძნელებს, რომ სხვა-და-სხვა მოცილენი გამოსჩნდნენ, თვითეული მათგანი თავისუფლად მოქმედებს ინგლისების წინააღმდეგ. ამის გამო ანაწილებენ ჯარებს და ამ მოცილეების წინააღმდეგ ჰგზავნიან. მოწინააღმდეგეთ უფრო აფთრებს და აქეზებს ბირმანის სასულიერო წოდება, რომელიც ინგლისების გაწყვეტას ჰქადაგობს; ამათ ხელს უმართავენ ჩინეთური აგენტები, რომლებიც აღელვებენ მკვიდრთა. ჩინეთური რაზმები ჰშველიან მოცილეებს „წითელ-წვერა ეშმაკების“ წინააღმდეგ საბრძოლველად. საქმე მეტად გაჭირებულია. აჯანყებული ხალხი და ავაზაკები ცარცვენ და სწვენ, რაც კი შეხვდებათ წინ. ინგლისის რაზმები მუდამ მღვიძარედ უნდა იყვნენ, რომ მტერს გაუმაგრდნენ. ინგლისს ძვირად დაუჯდება ბირმის დაპყრობაო.

— ზოგი განდევნილი პრინცები ლონდონში წავიდნენ. გრაფ პარიჟელის პატივ-საცემლად უელსის პრინცს — ინგლისის ტახტის მემკვიდრეს — დიდი წვეულება გაუმართავს მალბოროს სასახლეში. გრაფი პარიჟელი ვაგზალიდამ პირ-და-პირ იქ წასულა. უელსის პრინცი ბრწყინვალე ამალით და წარჩინებულის კარის-კაცებით წინ მოჰგებებია. დარბაზში გრაფს პარიჟელს და მასთან მოსულთ პირთ მიეგება კოროლევა ვიქტორია, რომელსაც გარს ეხვივნენ ჰერცოგი კემბრიჯისა, პრინცი ედუარდი და ჰერცოგინია ალბანი. გრაფი პარიჟელი კოროლევა ვიქტორიამ თავის გვერდით მიიწვია და დიდხანს ელაპარაკა. შემდეგ გაბრძანდნენ ბალში: გრაფმა პარიჟელმა, კოროლევა ვიქტორიამ და უელსის პრინცმა, მასპინძელმა, საკუთარს კარავში ივახშმეს. იმავე დღეს გრაფი და გრაფინია პარიჟელნი თავისის ამალით შინ, თავის ახალ სასახლეში დაბრუნდნენ.

* * *

ავსტრი-ვენგრია. ვენიდამ დეპეშით აცნობებენ გაზეთს „Temps“: ყველა სახელმწიფოებმა, [illegible] [illegible]ალეთმაც, როდესაც მიიღეს რუსეთიდამ ამბავი ბათუმის პორტო-ფრანკოს შესახებ, არ გაიოცეს და მარტო ეს შეუთვალეს რუსეთს, რომ თქვენი ცნობა ბათუმის შესახებ მივიღევითო.

— ამას წინად ოსმალეთ-ჩერნოგორიის სამზღვრებზე ჯარის კაცთა შეტაკება მოუხდათ. ამ ამბავს დიდს მნიშვნელობას აწერენ ავსტრი-ვენგრიაში. თუმცა ოსმალებს უფრო მეტი დაეხოცათ და დაეჭრათ, ვინემ ჩერნოგორიელებს, მაგრამ ცეტინიეში, როგორც ამბობენ, ყველანი აღელვაო. ამისა გამოვე თავადი ნიკოლოზი ავსტრიიდამ მალე დაბრუნდება სახლშიო. ჩერნოგორიელები ამბობენ, ოსმალებმა იმიტომ ჩაიდინეს ეს საქმეო, რომ თავადი შინ არა ბძანდებოდაო; ამისა გამო ეგონათ რამე ნაწილს დაიპყრობდნენ დაობლებულის ჩერნოგორიისასაო. დატყვევებულთ, სხვათა შორის, სამხედრო გეგმა უპოვესო, რომელიც საქმის ცოდნით არის შემდგარიო და ამტკიცებსო, რომ გულიანად შემზადებულანო.

* * *

ოსმალეთი. ოსმალეთი, საზოგადოდ, ეხლა უფრო დიდს გამჭრიახობას და სულის ძალას იჩენს, ვიდრე ადრე. სულთანი თვითონ თავის თვალით ინახულებს ხოლმე ჯარებს, უბრალო ჯარის კაცებს აძლევს საჩუქრად ოქროს ფულსა. არსენალებში გაცხარებული მუშაობაა; უკვეთავენ თოფ-იარაღს გერმანიაში და ინგლისში. თუ კეთილ-საიმედო არ არის რომელიმე აფიცერი, მაშინვე ითხოვენ სამსახურიდამ, ან სრულიად განდევნიან ხოლმე. მაგალითად, ნუსრედი-ფაშა განდევნეს ერზერუმში, სადაც სხვა განდევნილებსაც ელიან. მცირე აზიაში მართავენ რკინის გზებს, რომელთაც სამხედრო მნიშვნელობა აქვთო, და ის ჯარი, რომელიც საბერძნეთ-ოსმალეთს საზღვარზე იდგა, შინ კი აღარ ბრუნდება, აბანაკებენ სოფიის, მაკედონიის, რუმელიის და ჩერნოგორიის სამზღვრებზეო.

დეპეშა

8 ივლისს.

პეტერბურგი. გამოცხადდა სახელმწიფო საბჭოს გარდაწყვეტილება, რომ გადაეხადოს ბაჟი ფუთზე 3 გ. ოქროთი ქვა-ნახშირს, ტორფისას და ხისას, კაკოსა და ბალახის წ[illegible]ას (ტორფი), რომელიც კი შემოაქვთ შავის და აზოვის ზღვების ნავთ-სადგურებში.

უფა. დღეს დაიწყეს დღესასწაულობა იმისა, რომ ქალაქ უფის დაარსებიდამ სამასი წელიწადი შესრულდა; ჯვარი გაასვენეს მოედანზე და პარაკლისი გადაიხადეს; შემდეგ გაუმასპინძლდნენ ჯარს, გამართეს უფასო სასადილო და გაჩაღდა საერო დღესასწაული ჩირაღდნებით და შუშხუნებით.

ლონდონი. მინისტრთა საბჭომ დღეს გადასწყვიტა, რომ დაუყოვნებლივ სამინისტრო სამსახურიდამ გადადგეს.

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟი 1 ივლისს 1886 წ.

ხუთას მანათიანი მოგება რგება შემდეგს 5% ბილეთებს პირველის შინაგანის სესხისა 1864 წლისას.

№№ სერიისა	№№ ბილეთ.	№№ სერიისა	№№ ბილეთ.	№№ სერიისა	№№ ბილეთ.
16711	1	4934	18	14154	35
17914	1	8111	18	17779	35
19675	1	8142	18	4376	36
10244	2	8514	18	7207	36
3767	3	14016	18	13367	36
6397	3	2821	19	14534	36
10162	3	4579	19	16354	36
11883	3	7270	19	18730	36
15658	3	7662	19	19433	36
19818	3	95.6	19	94	37
1034	4	10107	19	4968	37
3334	4	10160	19	15310	37
3561	4	12919	19	8272	38
6448	4	743	20	11300	38
14243	4	2138	20	15541	38
18042	4	6602	20	17352	38
7191	5	9488	20	765	39
13492	5	11667	20	7179	39
15277	5	12387	20	8248	39
19998	5	13766	20	12400	39
290	6	18263	20	13599	39
5502	6	634	21	18674	39
6570	6	3660	21	49	40
17446	6	12271	21	3413	40
18023	6	12867	21	3931	40
4450	7	18714	21	4662	40
16892	7	5838	22	6487	40
2166	8	8274	22	10523	40
6684	8	10362	22	14870	40
8686	8	2396	23	7	41
11165	8	11548	23	2024	41
14287	8	12286	23	3078	41
2013	9	12680	23	9127	41
3211	9	12750	23	9177	41
3604	9	2560	24	14358	41
5403	9	8956	24	14825	41
10946	9	10939	24	2501	42
17996	9	18449	24	10286	42
18387	9	3878	25	11283	42
222	10	13563	25	11800	42
234	10	3638	26	15275	42
1035	10	3946	26	2976	43
1108	10	9593	26	6755	43
3116	10	14376	26	15733	43
5384	10	15681	26	17642	43
6759	10	5830	27	19047	43
7848	10	7351	27	19111	43
11562	10	16132	28	8023	44
16847	10	16163	28	14067	44
19393	10	2571	29	15852	44
3880	11	4018	29	18828	44
8408	11	4950	29	7414	45
9014	11	9430	29	8022	45
13381	12	10462	29	10063	45
4537	12	13319	29	10083	45
4586	12	14023	29	10210	45
4842	12	16253	29	14490	45
6917	12	17413	29	14505	45
7825	12	19584	29	16581	45
12348	12	2073	30	16888	45
14061	12	2341	30	18605	45
14730	12	8221	30	2942	46
15124	12	10736	30	4094	46
19622	12	2949	31	7201	46
4436	13	6696	31	7905	46
7673	13	8133	31	14134	46
7754	13	8508	31	518	47
7473	14	9240	31	5291	47
7667	14	14532	31	14285	47
11509	14	15395	31	16566	47
11622	14	570	32	4057	48
13604	14	1415	32	4372	48
505	15	8505	32	5739	48
4185	15	13444	32	7139	48
6638	15	18672	32	7160	48
9674	15	2337	33	12822	48
16210	15	4812	33	17753	48
5939	16	8633	33	1955	49
6575	16	3514	34	2666	49
7071	16	6290	34	11953	49
11475	16	9287	34	15156	49
17788	16	11975	34	7555	50
3641	17	12008	34	7557	50
6353	17	13328	34	13479	50
13904	17	1888	35	16999	50
15836	17	2945	35	18299	50
1916	18	4645	35		

ამ ბილეთების მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგში 1 ოქტომბრიდამ 1886. წ.

ნომერი სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ.

75	4532	7577	11871	15264
520	5085	7679	11955	15271
542	5180	7704	11999	15306
694	5461	7746	12953	15396
934	5634	7840	13070	16160
1345	5858	7910	13258	16814
1457	6250	8214	13529	17276
1555	6280	8295	13816	17407
1832	6370	8730	13853	17427
1982	6988	8972	14427	17701
2094	7023	9202	14434	18745
2338	7044	9300	14649	18966
2533	7103	9360	14709	19231
2659	7205	9423	14748	19857
3410	7378	9964	14820	—
3639	7494	10678	15155	—
4124	7541	11271	15223	—

ამ ბილეთებისათვის ხვედრის ფულის მიღება თვითოეულზე 125 მანათი შეიძლება 1886 წლის ოქტომბრიდამ სახელმწიფო ბანკში, მის კანტორებსა და განყოფილებებში.

◆

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უ҃ო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

ივლისი 31 დღით არის.

10 დღე ხუთშაბათი. 45 მოწ. ნიკოპოლისა. ფრანგ. ფელიციტისა და ამალიისა; VII ძმ. მოწ. სომეხ. წმ. ელისე წინ.-მეტყვ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—10. ტფილისში მზე ამოდის 4—44, ჩადის 7—28; მთვარე ამოდისდის 55, ჩადის 10—17.

11 დღე პარასკევი. წმ. ქალწ.-მოწ. ევფემიასი; ფრანგ; წმ. მოწ. პელაგიასი და იოანნასი. სომეხ. მარხვა. მუსულ. მე-42 ჯუმია. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—12; ტფილისში მზე ამოდის 4—45, ჩადის 7—27. მთვარე ამოდის 11—25, ჩადის 11—14.

12 დღე შაბათი. წმ. მოწ. იოანესი, ევთიმესი და გაბრიელისა; ფრანგ. იოანნე, გვალბერტტასა, ფელიქსისა და გილიარისა. სომეხ. 12 მოციქულ. და წმ. პავლე მოციქულ.

ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—14; ტფილისში მზე ამოდის 4—46, ჩადის 7—26; მთვარე ამოდის 11—59, ჩადის 12—13.

13 დღე კვირა. კრება გაბრ. მთავარანგელოზისა;—ფრანგ. მოწ. მალგორეატისა და ანაკლეტასი. სომეხ. ალების-ღამე გარდავარის (ფერის-ცვალების) მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15; ტფილისში მზე ამოდის 4—47, ჩადის 7—25; მთვარე ამოდის 12 საათ. ჩადის 1—12.

14 დღე ორშაბათი. წმ. მოწ. აკილასი, ონისიმესი და სტეფანესი. ფრანგ. ეპ. ბონავენტურისა და ქალწ. იუსტიანესი. სომეხ. 1 დღე ფერის-ცვალების მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6—15. ტფილისში მზე ამოდის 4—48, ჩადის 7—24. მთვარე ამოდის 12—35, ჩადის 2—15.

◆

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გირ.	5	კაპ.
წითელი პური 1-ის გარისხისა	2½	
› › 2 ›	2	›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½	›
› › 2—	3	›
› › 3 ›	2½	›
ჯვარის მამის პურის ლავაში		
1-ლის ხარისხისა	4½	›
მე-2 ხარისხისა	3¹/	›
მე-3 —	3	›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7	›
‹ › 2	6	›
სუკი	14	›
ცხვრის ხორცი	7	›

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სადამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

განცხადებანი

ინგლისის მაღაზიამ

არწრუნისეულს გალერეაში მიიღო ჩაი, რევოლვერები და კრავატები. ისყიდება ძალიან იაფად. (10—5)

ყმაწვილთა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიურის დამატებით მშობლებთა და აღმზრდელთათვის.

1884-სა და 1885 წლის ყველა წიგნები, 17 №(10 წიგნი) ერთად ღირს—ქალაქში 3 მანათი, ქალაქ გარეთ გაგზავნით 3 მან. და ათი შაური. ათი შაური შეიძლება მარკებით გამოიგზავნოს. ადრესი: Тифлисъ. А. С. Гуладзе, Сололаки Фрейлинская, 7.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად. (10—5)

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ს. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათებისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს. (20—9)

Дозволено цензурою Тифлисъ 6 іюля, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.